186
1937/2
F 133
1937

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1937 წ. აპრილის 15. № 7 ტფილისი.

შინაარსი

მრეწველობა.

38. „საქთევზის" ტრესტისა და აფხაზეთის თევზზღვისნადირმრეწველობის საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემაში გადაცემის შესახებ.

მიწის, წყლის და ტყის მეურნეობა.

სოფლის მეურნეობა.

39. 1937 წლის გაზაფხულზე მოსალოდნელ წყალდიდობასთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ.

40. 1937 წელს ბამბის მოსავლიანობის გადიდების გეგმისა და ღონისძიებათა შესახებ.

41. საქართველოს სსრ-ში 1937 წელს მესვიეობის განვითარების გეგმის შესახებ.

სათევზაო და სანადირო მეურნეობა.

42. „საქართველოს სსრ-ში ნადირობის წესების და ვადების თაობაზე" გამოცემული დადგენილების მე-10 მუხლის „ბ" პუნქტის შეცვლის შესახებ.

ტრანსპორტი.

43. საავტოტრანსპორტო, საექსპედიციო და სასაწყობო მეურნეობის სახელმწიფო ტრესტის „საქავტოტრესტის" საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ საავტოტრანსპორტო მეურნეობის სამმართველოდ გარდაქმნის შესახებ.

ჯანმრთელობის დაცვა.

44. საქალაქო მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლის ღონისძიებათა ჩატარების შესახებ.

განათლება.

45. საფინანსო მომუშავეთა კადრების მომზადების შესახებ.

46. უდიდესი რუსი პოეტის ა. ს. პუშკინის გარდაცვალების დღიდან ასი წლის თავის შესრულების აღნიშვნის შესახებ.

47. ტფილისის ოპერის და ბალეტის ლენინის ორდენს სახელმწიფო თეატრის მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

48. ლანჩხუთის სახელმწიფო თეატრისათვის ნინოშვილის სახელის მიკუთვნების შესახებ.

F 1951
2065

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ა

38. დადგენილება ს.კ.ს.

„საქთევზის“ ტრესტისა და აფხაზეთის თევზზღვისნადირმრეწველობის საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემაში გადაცემის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. გადაეცეს საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემას საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემიდან „საქთევზტრესტი“ და აფხაზეთის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემიდან „აფთევზზღვისნადირმრეწველობა“.

„აფთევზზღვისნადირმრეწველობა“ შეერთებულ იქნას საქთევზ-ტრესტთან „საქთევზის“ ტრესტში და უშუალოდ დაექვემდებაროს საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატს.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ვ. კვირიკაძე.**

1937 წ. იანვრის 26. № 89.
ტფილისი.

მიწის, ტყის და წყლის მეურნეობა. სოფლის მეურნეობა.

39. დადგენილება ს.კ.ს.

1937 წლის გაზაფხულზე მოსალოდნელ წყალდიდობასთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ.

მიმდინარე წლის გაზაფხულზე მოსალოდნელი წყალდიდობის გამო, რაც საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობისათვის დიდ საფრთხეს წარმოადგენს, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მოწყობილ იქნას საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან საგანგებო კომისია წყალდიდობასთან ბრძოლისათვის საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის თავმჯდომარეობით და საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისრის, საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსის, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის გზატკეცილების სამმართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფროსის და ა/კ. რკინის გზების საამმართველოს წარმომადგენლის მონაწილეობით. დაეკისროს ამ კომისიას წყალდიდობასთან და მის შედეგებთან ბრძოლით უშუალოდ დაინტერესებულ უწყებათა, დაწესებულებათა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მოქმედების კოორდინაცია, უშუალო ხელმძღვანელობის გაწევა ყველა იმ ღონისძიების განხორციელების საქმისათვის, რაც უზრუნველყოფს მიმდინარე წლის გაზაფხულზე მოსალოდნელი წყალდიდობის წინააღმდეგ ბრძოლის თავის დროზე მომზადებას და ჩატარებას, კერძოდ ურზრუნველყოფს წყლის ნაპირების გამმაგრებელი სამუშაოების თავის დროზე შესრულებას და არსებულ და ახლად მოსაწყობ ნაპირის გამმაგრებელ ნაგებობათა დაცვას.

2. წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და აგრეთვე იმ საქალაქო და სასოფლო საბჭოებს, რომელთა ტერიტორიაზედაც მოსალოდნელია მიმდინარე წლის გაზაფხულზე წყალდიდობა, დაუყოვნებლივ მოაწყონ საგანგებო კომისიები წყალდიდობასთან ბრძოლისათვის—სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტისა და საქალაქო და სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეების თავმჯდომარეობით, კუთვნილებისამებრ, და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ადგილობრივი ოგანოების, წყლის მეურნეობის ადგილობრივი ორგანოების და ადგილობრივი საგზაო ორგანოების წარმომადგენელთა შედგენილობით.

ზემოაღნიშნულმა ადგილობრივმა საგანგებო კომისიებმა: ა) დაუყოვნებლივ უნდა დაამყარონ კავშირი საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ საგანგებო კომისიასთან: სარაიონო კომისიებმა—უშუალოდ, ხოლო სასოფლო და საქალაქო კომისიებმა (გარდა იმ კომისიებისა, რომელნიც არსებობენ დამოუკიდებელ საადმინისტრაციო-სამეურნეო ერთეულებად გამოყოფილი ქალაქების საქალაქო საბჭოებთან)—სათანადო სარაიონო საგანგებო კომისიების მეშვეობით და ბ) უნდა იმოქმედონ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული საგანგებო კომისიის დირექტივებისა და მითითებების მიხედვით.

3- წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს იხმარონ ღონისძიებანი წყალდიდობასთან ბრძოლის ადგილობრივი კომისიების უზრუველყოფისათვის საჭირო საშენი მასალით (წნელი, ფიჩხი და სხვა ხე-ტყის მასალა, რაც საჭიროა წყალდიდობასთან საბრძოლველად შესაფერ ნაგებობათა მოწყობისათვის).

წინადადება მიეცეს საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას უზრუნველყოს წყალდიდობასთან საბრძოლველად საჭირო სამუშაოები საშენი მასალით ცენტრალიზებული ფონდებიდან.

4. წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს შემოიღონ ხოლმე წყალდიდობასთან ბრძოლის ცენტრალური და ადგილობრივი საგანგებო კომისიების მოთხოვნით, მოსახლეობისათვის შრომისა და ჭაპანზიდვის ბეგარა იმ წესისამებრ, რაც გათვალისწინებულია სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის მაისის 13-ის დადგენილებით „სტიქიურ უბედურებასთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძოლისათვის შრომის ბეგარის შემოღების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. № 16, მუხ. 127; 1933 წ. № 12, მუხ. 166; 1934 წ. № 1, მუხ. 28; 1935 წ. № 14, მუხ. 79).

5. წინადადება მიეცეს საქართველოს სატყეო მრეწველობის სატყეო და სატყეო-სამრეწველო მეურნეობებს, მთავარ საკურორტო სამმართველოს და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს უფასოდ მიაწოდონ წყალდიდობასთან ბრძოლის ადგილობრივ კომისიებს საჭირო ხე-ტყის მასალა.

6. წინადადება მიეცეს აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს გამოსცენ ანალოგიური დადგენილებანი.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. **ს. მებუკე**

1937 წ. თებერვლის 25. № 202.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტ-ის“ № 47-ში 1937 წ. თებერვლის 27.

---

40. დადგენილება ს.კ.ს და ს.კ.პ. (ბ) ც.კ.

1937 წელს ბამბის მოსავლიანობის გადიდების გეგმისა და ღონისძიებათა შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს ა/წ. თებერვლის 2-ის დადგენილებით დამტკიცებული გეგმა 1937 წელს საქართველოს სსრ-ში ბამბის თესვისა—4.000 ჰექტარის რაოდენობით—განაწილებულ იქნას რაიონებსა და სექტორებზე შემდეგნაირად:

	სულ		აქედან		კოლმეურნეობებში		ერთპიროვნულ მეურნეობებში	
ბორჩალოს რაიონი	2.000	ჰექტარი	1.738	ჰექტარი	262	ჰექტარი		
ყარაიის „	1.500	„	1.426	„	74	„		
ლუქსემბურგის	500	„	323	„	177	„		
	4.000	ჰექტარი	3.487	ჰექტარი	513	ჰექტარი		

აქედან ბამბის მეთესლეობისათვის თესვის გეგმა 1937 წლისა—90 ჰექტარი

ლუქსემბურგის რაიონი—ელიტა	10	„
ბორჩალოს „ პირველი რეპროდუქციისა	30	„
„ „ მეორე „	50	„

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის წინადადების შესაბამისად, ბამბის ჯიში 915, რომელიც აქამდე ითესებოდა, 1937 წელს შეიცვალოს „შრედერ"—1,306 ჯიშით, მისი უფრო დიდი მოსავლიანობისა და მალმწიფადობის გამო.

„შრედერ" 1.306 ჯიშის ბამბის წმინდა ჯიშიანი ნათესებიდან მიღებული თესლის გამრავლების მაქსიმალური კოეფიციენტის მისაღებად, დაევალოს საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ბორჩალოს და ლუქსემბურგის რაიონულ კომიტეტებს და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—ჩაატარონ 1937 წელს პირველი და მეორე რეპროდუქციის ელიტის თესლის ხელით თესვა და უზრუნველყონ ბუჩქების ინდივიდუალური შერჩევა თესლის შესაგროვებლად, რათა 1938 წელს 30 ჰექტარ ფართობზე დაითესოს ელიტა.

3. საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ბორჩალოს და ლუქსემბურგის რაიონული კომიტეტების მდივანთა, სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეთა, სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილებების გამგეთა, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დირექტორთა და სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილებებისა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების უფროს აგრონომთა თათბირის (რომელიც მოწვეული იყო საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან მიმდინარე წლის თებერვლის 3-ს) წინადადების მიხედვით დაყენებულ იქნას მებამბეობის რაიონების პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციების წინაშე 1937 წელს ამოცანა, რათა თვალსაჩინო გადაჭარბებით შესრულებულ იქნას ბამბის მოსავლიანობის გეგმა, განსაზღვრული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიმდინარე წლის თებერვლის 2-ის დადგენილებით 10,8 ცენტნერის რაოდენობით ერთ ჰექტარზე, და მოსავლიანობა მიღწევინებულ იქნას საშუალოდ თითო ჰექტარზე: ბორჩალოს რაიონში—18 ცენტნერამდე, ყარაიის რაიონში—18 ცენტნერამდე და ლუქსემბურგის რაიონში—20 ცენტნერამდე.

4. იმ ფართობებზე, რომლებიც ათვისებული არ არის მძრალეული ხვნით 2.359 ჰექტარის რაოდენობით, და აქედან:

	კოლმეურნეობანი	ეროპიროვნული მეურნეობანი	ს უ ლ
ბორჩალოს რაიონში .	1.114 ჰექტარი	262 ჰექტარი	1.376 ჰექტარი
ყარაიის „ . . .	490 „	60 „	550 „
ლუქსემბურგის . . .	256 „	177 „	433 „

პირველი ღრმა ხვნა—არა ნაკლებ 25 სანტ. სიღრმისა—დამთავრებულ იქნას არა უგვიანეს მარტის 1-ისა.

5. მეორე ღრმა ხვნა, შემდგომი ფარცხვით, ჩატარებულ იქნას ყველა იმ ფართობზე (როგორც მძრალეულზე, ისე გაზაფხულის ნახნავზე), რომელიც განკუთვნილია ბამბის სათესად, 18-20 სანტ. სიღრმეზე და იგი დამთავრდეს: მძრალეულის ფართობზე—მარტის 15-მდე, ხოლო გაზაფხულის ნახნავზე—აპრილის 1-მდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. იმ ნაკვეთებზე-კი, რომლებზედაც მოდებულია სარეველა, ა/წ. აპრილის 1-დან აპრილის 10-მდე ჩატარებულ იქნას დამატებით ტრაქტორული კულტივაცია ფარცხვით.

უკეთუ ეს ღონისძიება ვერ უზრუნველყოფს სარეველისაგან ნაკვეთების სრულ გაწმენდას, თესვისწინა გადახვნამდე ჩატარებულ იქნას ხვნა 14-16 სანტ. ბელტის გადაბრუნებით და მაშინვე დაფარცხვით.

7. თესვისწინა გადახვნა ჩატარებულ იქნას ნიადაგის მოწეული ფენის სიღრმეზე (10-12 სანტ.) ბელტის გადაუბრუნებლად; თანაც აუცილებლად იმავე დღეს დაიფარცხოს, ნიადაგის ზედაპირის სრული განმზადებით (არა ნაკლებ 2 კვალისა).

თესვისწინა გადახვნისათვის ძირითადად გამოყენებულ იქნას სააოშო ჩ 25 II.

8. განისაზღვროს ადგილობრივ სასუქთა დამზადებისა და შეტანის შემდეგი გეგმა: ბორჩალოს რაიონში: ნაკელისა—75.000 ურემი, ნაკელის ფაფილისა—2.000 ცენტნერი, ფრინველის ნაკელისა—250 ცენტნერი; ყარაიის რაიონში: ნაკელისა—56.000 ურემი, ნაკელის ფაფილისა—1.400 ცენტნერი, ფრინველის ნაკელისა—200 ცენტნერი; ლუქსემბურგის რაიონში: ნაკელისა—20.000 ურემი, ნაკელის ფაფილისა—400 ცენტნერი, ფრინველის ნაკელისა—150 ცენტნერი.

დაევალოს კოლექტიურ მეურნეობათა გამგეობებს—ყოველდღე დაურიცხონ კოლმეურნეებს შრომა-დღეები მათგან შეგროვილი და მიღებული ადგილობრივი სასუქისათვის და უზრუნველყონ სასუქის წესიერი შენახვა კოლექტიურ მეურნეობებში.

9. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—გაანაწილოს მინერალურ სასუქთა ფონდი ბამბისათვის—სუპერფოსფატი 972 ტონის და სულფატამონიუმი 1.000 ტონის რაოდენობით—რაიონებს შორის მათში არსებული საბამბე ფართობებისა და ნიადაგის პირობების შესაბამისად.

10. ნაკელის ფაფილის დასამზადებლად ა/წ. მარტის 1-მდე აგებულ იქნას მებამბეობის კოლექტიურ მეურნეობებში 50 ფაფილსაცავი; აქედან ბორჩალოს რაიონში—25, ყარაიის რაიონში—15 და ლუქსემბურგის რაიონში—10.

ფაფილსაცავების მოსაწყობად გამოყოფილ იქნას 50 ტონა ცემენტი: ბორჩალოს რაიონისათვის—25, ყარაიის რაიონისათვის—15 და ლუქსემბურგის რაიონისათვის—10 ტონა.

11. განსაზღვრულ იქნას სასუქთა გამოყენების შემდეგი წესი: ნაკელი შეტანილ იქნას მთელი ნორმით—70-80 საზიდავი გამოფიტულ ნიადაგში. ყველა დანარჩენ ნაკვეთში ნაკელი შეტანილ იქნას 20-დან 40 საზიდავამდე, ნიადაგის ნაყოფიერების მიხედვით.

მინერალური სასუქის მთელი რაოდენობის შეტანა დამთავრებულ იქნას გაზაფხულის ხვნის დროისთვის, ხოლო ძძრალეულში პირველი ღრმა საგაზაფხულო გადახვნის დროისთვის.

ბამბის გამოკვება ჩატარებულ იქნას პირველი და მეორე კულტივაციის დროისათვის.

12. დაევალოს შულავრის ბამბის ქარხანას—დაამთავროს არა უგვიანეს, ვიდრე ა/წ. თებერვლის ბოლოს, ბამბის თესლის შემოზიდვა და დაამთავროს არა უგვიანეს, ვიდრე მარტის ბოლოს, მთესველებისათვის თესლის დარიგება.

13. საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა უნდა დაამთავროს ა/წ. მარტის 10-მდე ბამბის ქარხნის მიერ 1937 წელს დასათესად მიღებული ბამბის თესლის ყველა პარტიის ლაბორატორული შემოწმება.

14. დაევალოს საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) რაიონულ კომიტეტებს მებამბეობის რაიონებში და ამავე რაიონების სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს:

ა) ჩაატარონ თესვამდე მთლად თესლის შეწამლვა ფორმალინით და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ამ მუშაობის ხარისხს და კოლექტიურ მეურნეობებში თესვამდე თესლის შენახვას;

დაევალოს საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) რაიონულ კომიტეტებს, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს, სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილებათა გამგეებს და სამანქანო-სატრაქტორო სადგურთა დირექტორებს—უზრუნველყონ თესვის დაწყებამდე იმის შემოწმება, თუ რამდენად სისწორით არის მიმაგრებული ნაკვეთები ბრიგადებზე და ბრიგადის შიგნით რგოლებზე;

ბ) დაიწყონ ბამბის თესვა იმ დროს, როდესაც ნიადაგის ტემპერატურა 5 სანტიმეტრის სიღრმეზე იქნება 14° ცელსიით და თესვა ყველა რაიონში დაამთავრონ არა უგვიანეს მაისის 10-ისა.

15. თითო ჰექტარზე თესლის განთესვის ნორმა განისაზღვროს 70 კილოგრამის რაოდენობით და სიგანე მწკრივთა შორის იმ ფართობებზე, რომლებსაც უკეთდებათ ტრაქტორული კულტივაცია,—70 სანტიმეტრის ოდენობით.

მებამბეობის სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დირექტორებმა უნდა უზრუნველყონ ტრაქტორული თესვის ჩატარება: ბორჩალოს რაიონში—1.700 ჰექტარზე (აქედან 70 სახტიმ.—1.500 ჰე); ყარაიის რაიონში—1.100 ჰექტარზე (აქედან 70 სანტ. 900 ჰე). და ლუქსემბურგის რაიონში—250 ჰექტარზე (აქედან 70 სანტიმ. 150 ჰე).

დანარჩენ საბამბე ფართობებზე სიგანე მწკრივთა შორის (ელიტის ნათესის გარდა) დიფერენცირებულ იქნას წარსული წლების მუშაობის გამოცდილების მიხედვით, ცალკეულ ნაკვეთებზე, ნიადაგის ნაყოფიერების კვალობაზე, 60-დან 70 სანტიმეტრამდე.

16. 1.000 ჰექტარ ფართობზე ბამბის თესვა ჩატარებულ იქნას ერთსა და იმავე დროს კვლების გავლებით კვლებში საფსუვარის გასატარებლად: ბორჩალოს რაიონში—600 ჰექტარზე, ყარაიის რაიონში—300 ჰექტარზე და ლუქსემბურგის რაიონში—100 ჰექტარზე.

17. საფსუვარის ჩატარება დამთავრებულ იქნას არა უგვიანეს 2 დღისა თესვის დამთავრების შემდეგ.

18. დაევალოს საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) რაიონულ კომიტეტებს და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—მოაწყონ ბამბის აღმონაცენის შემოწმება, თვითეული ნაკვეთის აღმონაცენის მდგომარეობის შესახებ აუცილებლად აქტის შედგენით, და დაამთავრონ ეს მუშაობა ა/წ. მაისის 20-მდე და ამავე ვადაზე დაამთავრონ ნათესის შეთხელებული რიგების რემონტი (ჩათესვა).

19. ჩატარებულ იქნას ბამბის ნათესის გამოხშირვა ორჯერ: პირველი—ერთი ფოთლის გამობმისას, მეორე—2-3 ფოთლის გამობმისას, ბუდეში ორ-ორი მცენარის დატოვებით. ბუდეები ერთმანეთისაგან დაშორებულ უნდა იქნას 20, 25 და 30 სანტიმეტრით, ნიადაგის, სხვადასხვაობისა და ნაკვეთის ნაყოფიერების მიხედვით.

მეორე გამოხშირვა ნათესის ყველა ფართობზე დამთავრებულ იქნას ა/წ. ივნისის 15-თვის და უზრუნველყოფილ იქნას ბამბის ბუჩქების საჭირო რაოდენობა თითო ჰექტარზე და თანაბარი სიხშირე.

ბამბის ბუჩქების სიხშირე თვითეული ცალკე ნაკვეთისათვის უნდა განსაზღვრონ სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილებისა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების წარმომადგენლებმა კოლექტიური მეურნეობის თავმჯდომარესთან და ბრიგადირთან ერთად, აქტის შედგენით.

20. გამოხშირვა უზრუნველყოფილ იქნას, როგორც დამოუკიდებელი სახის სამუშაო და როგორც შეუთავსებელი სხვა რომელსამე პროცესთან. გამოხშირვის ჩასატარებლად ბრიგადიდან უნდა გამოიყვნენ სპეციალურად მომზადებული პირნი და მათ შორის ჩატარებულ უნდა იქნას მაისის 10-დან 15-მდე კურს-კონფერენციები.

21. ბამბის სავეგეტაციო პერიოდში ჩატარებულ იქნას 5-ზე არა ნაკლები გათოხვნა და სამზე არა ნაკლები კულტივაცია ბამბისა; უზრუნველყოფილ უნდა იქნას, რათა ბამბის ვეგეტაციის დროს მინდორი გაწმენდილი იყოს და მასზე სარეველა არ გამოჩნდეს და არ გახშირდეს.

22. დაევალოს სამეტალურგო მრეწველობის („სტალსბიტი") მთავარი სამმართველოს ტფილისის კონტორას—მისცეს ა/წ. თებერვლის 15-მდე „საქსოფლეურნმომარაგებას" საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ფონდებიდან 5,5 ტონა ხარისხოვანი რკინა და 1,4 ტონა ფოლადი თოხების გასაკეთებლად.

საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა წარუდგინოს სამეტალურგო მრეწველობის მთავარი სამმართველოს ტფილისის კონტორას სპეციფიკაცია რკინაზე და ფოლადზე, რაც-კი საჭიროა თოხების გასაკეთებლად, და უზრუნველყოს რაიონებში შეზიდვა თებერვლის 20-მდე: ბორჩალოს რაიონში—1,5 ტონა რკინისა და 0,4 ტონა ფოლადისა; ყარაიის რაიონში—2,0 ტონა რკინისა და 0,5 ტონა ფოლადისა; ლუქსემბურგის რაიონში—2,0 ტონა რკინისა და 0,5 ფოლადისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაევალოს სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილებათა გამგეებს და სამანქანო სატრაქტორო სადგურთა დირექტორებს—უზრუნველყონ თოხების დაშზადების დამთავრება ა/წ. აპრილის 10-მდე.

23. საფსუვარი ჩატარებულ იქნას ბამბის თესლის დათესვისთანავე და დამთავრდეს ყველა რაიონში მაისის 15-თვის.

24. დაევალოს საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) რაიონულ კომიტეტებს და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—ქერქიანობასთან ბრძოლის მიზნით, საფსუვარის ან წკიმების შემდეგ მიწის ქერქის გაშრობისთანავე, როცა-კი პირველივე შესაძლებლობა იქნება მინდვრად იარაღით გასვლისა, ჩაატარონ ბამბის ნათესის ფარცხვა ერთის გავლით მწკრივების გარდიგარდმო „ზიგ-ზაგ" ფარცხით.

25. ბამბის ვეგეტაციის განმავლობაში ჩატარებულ იქნას 3-ზე არა ნაკლები სავეგეტაციო მორწყვა.

მორწყვა უნდა იყოს კვალში და დაცულ უნდა იქნას რწყვის წესები და ტექნიკა.

სავეგეტაციო მორწყვა ჩატარებულ იქნას მთელ დღე-ღამეს შეუწყვეტლად.

დაწესდეს მორწყვის ჩატარების შემდეგი სანიმუშო ვადები: პირველი მორწყვა—ივლისის 1-დან ივლისის 15-მდე, მეორე—ივლისის 16-დან აგვისტოს 1-მდე, მესამე—აგვისტოს 1-დან აგვისტოს 15-მდე.

26. დაევალოს სამანქანო-სატრაქტორო სადგურთა დირექტორებს-უზრუნველყონ კვალის ტრაქტორული კვეთა თვითეული სავეგეტაციო მორწყვის კვალკვალ ჩატარებისათვის სატრაქტორო კულტივაციის ყველა ფართობზე.

27. ბამბის მასური აყვავილების პერიოდში (როცა 3-5 ყვავილია), ბამბის ბუჩქებზე მოსავლის უზრუნველსაყოფად ჩატარებულ იქნას ტოტის ზედაწვერის მომტვრევა (ჩეკანკა) იმ ფართობებზე, რომლებზედაც ბამბის ზრდა გადაჭარბებულია.

28. თესვის წინ ყველა ფართობზე ჩატარებულ იქნას პროფილაქტიკური დამუშავება მოშხამული მისატყუებლებით შემოდგომის მატლის (სოვკა), მავთულისებრი ჭიისა და სხვა მავნებლების მოსასპობად; არ შეიძლება სარეველის დატოვება მიჯნებზე, გზებზე და არხების ნაპირებზე.

29. კოლექტიურ მეურნეობათა თავმჯდომარეებმა უნდა უზრუნველყონ მეთვალყურეთა გამოყოფა, რომელთაც თვალყური უნდა ადევნონ ბამბის მავნებელთა და დაავადებათა გამოჩენას და თავის დროზე აცნობონ სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილებებს და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს.

30. დაევალოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს მისცეს ა/წ. მარტის 10-მდე რაიონებს მითითებანი ბამბის მატლთან ბრძოლის მეთოდებისა და ხერხის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი ავალებენ ბორჩალოს, ყარაიისა და ლუქსემბურგის რაიონების პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს, რომელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თაც 1937 წელს ბამბის თესვის გეგმა აქვთ მხოლოდ 4.000 ჰექტარის რაოდენობით, უზრუნველყონ ყველა იმ ღონისძიების ვადაზე ჩატარება, რაც გათვალისწინებულია ამა დადგენილებაში, და მიაღწიონ იმას, რათა საქართველოს ბამბის მინდვრები გადაიქცეს ბამბის სამაგალითო ნაკვეთებად დიდი მოსავლის მიღების მხრით.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი**

საქ. კ. პ. (ბ) ც.კ-ის მდივანი **ლ. ბერია.**

1937 წ. თებერვლის 11. № 183.
ტფილისი.

---

41. დადგენილება ს.კ.ს.

საქართველოს სსრ-ში 1937 წელს მესვიეობის განვითარების გეგმის შესახებ.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წ. დეკემბრის 28-ის დადგენილების შესაბამისად,—საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. განისაზღვროს გეგმა სასვიეების გაშენებისა 20 ჰექტარის ფართობზე ტფილისის რაიონის კოლექტიურ მეურნეობებში.

2. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს უზრუნველყოს:

ა) ახალი სასვიეების გაშენების გეგმის მიწვდენა რაიონებამდე და კოლექტიურ მეურნეობებამდე 1937 წ. თებერვლის 25-მდე;

ბ) მარტის 15-მდე მცხეთის სამანქანო-სატრაქტორო სადგურის მეშვეობით მიწის ღრმად მოხვნა სასვიეებისათვის: მსუბუქ ნიადაგზე—30 სანტიმეტრით, მძიმე ნიადაგზე—40 სანტიმეტრით, აგრეთვე ნაკელის მთლიანი შეტანა თითო ჰექტარზე 40 ტონის ანგარიშით ახლად გასაშენებელი სასვიეებისათვის და 20 ტონის ანგარიშით წარსულ წლებში გაშენებული სასვიეებისათვის;

გ) მავნებლებთან და დაავადებასთან ბრძოლის საშუალებებით და აგრეთვე საჭირო აპარატურით (საფრქვევლებით და სასხურებლებით);

დ) ტფილისის საბჭოს ადგილობრივი მრეწველობის განყოფლების ხარჯზე მესვიეობის აგრომომსახურეობა 1 აგრონომ-მესვიეს შტატით ტფილისის რაიონის სამიწათმოქმედო განყოფილებასთან.

3. საქართველოს სსრ-ში სასვიეების მოსავლიანობა 1937 წელს განისაზღვროს შემდეგი რაოდენობით;

1935 წელს გაშენებული სასვიეებისათვის—4 ცენტნერი,
1936 „ „ „ 2 „

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. ეთხოვოს სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წ. დეკემბრის 18-ის თარიღის და 2171 №-ის დადგენილების აღსასრულებლად—უზრუნველყოს თავის დროზე მავთულის, ბოძებისა და მინერალური სასუქის შემოზიდვა: პირველ კვარტალში—100 ცენტნერი აზოტური, 70 ცენტნერი ფოსფორული და 20 ცენტნერი კალიუმური სასუქისა.

5. ეთხოვოს სსრ კავშირის სასოფლო-სამეურნეო ბანკს-გაითვალისწინოს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების თანახმად, ექვსწლიანი კრედიტი 50 ათასი მან. რაოდენობით იმავე მშენებლობის სტიმულირებისათვის.

6. ეთხოვოს სსრ კავშირის კვების სახალხო კომისარიატს—გაითვალისწინოს, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების თანახმად, 1937 წლის გეგმით 2 სვიასახმობის მშენებლობა საქართველოს სსრ-ში 70 ჰექტარზე მისაღები პროდუქციის ანგარიშით თვითეული.

7. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატს—უზრუნველყოს არა უგვიანეს ა/წ. აპრილის 20-ისა საქართველოსათვის სვიის ლერწის შემოზიდვა 88 ათასი ცალის რაოდენობით და ტფილისის სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილებისათვის გადაცემა სვიის პლანტაციების გასაშენებლად.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. **ს. მებუკე.**

1937 წ. თებერვლის 21. № 194.
ტფილისი.

სათევზაო და სანადირო მეურნეობა

42. დადგენილება ს.კ.ს

„საქართველოს სსრ-ში ნადირობის წესების და ვადების თაობაზე“ გამოცემული დადგენილების მე-10 მუხლის „ბ“ პუნქტის შეცვლის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

მე-10 მუხლის „ბ“ პუნქტი საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წ. ნოემბრის 3-ის თარიღის და 1417 №-ის დადგენილებისა „საქართველოს სსრ ნადირობის წესების და ვადების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1936 წ. 29 №-ი, მუხ. 174) მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

[10. ნადირობა აკრძალულია მთელი წლის განმავლობაში:.]

„ბ) დედალ და ნუკრ (ერთ წლამდე) ჯიხვებსა, ნიამორებსა, შვლებსა და ნუკრ არჩვზე (ფსიტი), ხოლო აფხაზეთის ასსრ-ში—აგრეთვე მამალ ჯიხვებზეც და შვლებზეც“.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. **ს. მებუკე.**

1937 წ. მარტის 2. № 216.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტ რ ა ნ ს პ ო რ ტ ი

43. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

საავტოტრანსპორტო, საექსპედიციო და სასაწყობო მეურნეობის სახელმწიფო ტრესტის „საქავტოტრესტის“ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ საავტოტრანსპორტო მეურნეობის სამმართველოდ გარდაქმნის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. საავტოტრანსპორტო, საექსპედიციო და სასაწყობო მეურნეობის სახელმწიფო ტრესტი „საქავტოტრესტი“ გაუქმდეს და მის ბაზაზე მოწყობილ იქნას:

ა) ცხრა სამეურნეოანგარიშიანი საავტოტრანსპორტო კონტორა დამოუკიდებელი ბალანსით და იურიდიული პირის უფლებებით (ტფილისის, ბორჯომის, გორის, წნორის წყალის, ქუთაისის, მახარაძის, ზუგდიდის, აფხაზეთის და აჭარის კონტორა) და მომარაგების კონტორა;

ბ) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული საავტოტრანსპორტო მეურნეობის სამმართველო სახელმწიფო გაერთიანების უფლებებით;

2. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ საავტოტრანსპორტო მეურნეობის სამმართველოს დაეკისროს შემდეგი ფუნქციები:

ა) საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ავტომობილებით მგზავრთა გადაყვანისა და ტვირთის გადაზიდვის დაგეგმვა;

ბ) საქართველოს სსრ რესპუბლიკური და ადგილობრივი დაწესებულებებისა და წამოწყებების საავტოტრანსპორტო საშუალებათა მოთხოვნილების დაგეგმვა და აღრიცხვა და მატერიალური მომარაგების სათანადო რესპუბლიკური ფონდებიდან ავტომანქანების, სათადარიგო ნაწილების, რეზინისა და სათბობი მასალის განაწილების პროექტის შედგენა;

გ) მის სისტემაში მყოფ საავტოტრანსპორტო სამეურნეოანგარიშიან მეურნეობათა მუშაობის დაგეგმვა, რეგულირება და ხელმძღვანელობა და საქართველოს სსრ ტერიტორიაზე საერთო სარგებლობის საავტოტრანსპორტო სატვირთო და სამგზავრო გადაყვან-გადაზიდვის მოწყობა.

3. ამა დადგენილების 1-ლი მუხლის „ა“ პუნქტით გათვალისწინებულ საავტოტრანსპორტო კონტორებს დაეკისროს:

ა) ავტომობილებით მგზავრების გადაყვანა და ტვირთის გადაზიდვა ქალაქების, კურორტების, გარეთუბნებისა და საქალაქთაშორისო გზებზე;

ბ) სატრანსპორტო-საექსპედიციო და სასაწყობო საქმე საერთო სარგებლობის საწყობების მიმართ საქართველოს სსრ-ში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. მიენდოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ საავტოტრანსპორტო მეურნეობის სამმართველოს:

ა) წარუდგინოს 15 დღის ვადაზე საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად ამ სამმართველოს დებულების პროექტი და საავტოტრანსპორტო კონტორების წესდებანი;

ბ) განსაზღვროს ერთი თვის ვადაზე, საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, საავტოტრანსპორტო კონტორების საწესდებო კაპიტალები და აგრეთვე გაანაწილოს გაუქმებული „საქავტოტრესტის" საბრუნავი სახსარი საავტოტრანსპორტო მეურნეობის სამმართველოსა და საავტოტრანსპორტო კონტორებს შორის.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **თ. ულენტი.**

1937 წ. თებერვლის 14. № 199/178.

ტფილისი.

ჯანმრთელობის დაცვა

44. დადგენილება ს.კ.ს.

საქალაქო მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლის ღონისძიებათა ჩატარების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს ყველა იმ სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციას, ფაბრიკას და ქარხანას, რომლის გამგებლობაშიაც არის ქალაქებში მდებარე მაღაზიები, ბეღლები, პროდუქტების და საქონლის საწყობები და სხვა წამოწყებები, რაც დაკავშირებულია სასურსათო ტვირთის, საქონლისა და მათი გადამუშავების პროდუქტების შენახვასთან, ჩაატაროს, ორგანიზაციის ხელმძღვანელისა და სასაწყობო სათავსების გამგეთა პასუხისმგებლობით, ღონისძიებანი მღრღნელებთან, საბეღლე-სასაწყობო მავნებლებთან და პარაზიტებთან ბრძოლისათვის.

2. დაევალოს ამა დადგენილების 1-ელ მუხლში აღნიშნულ ყველა სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციას—დადვას ორი კვირის ვადაზე ხელშეკრულება საქართველოს სსრ თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების სადეგაზაციო რაზმთან ან მის განყოფილებასთან ადგილებზე მღრღნელთა, საბეღლე-სასაწყობო მავნებლებთა და პარაზიტთა მოსპობისათვის საჭირო სამუშაოების ჩატარებაზე ყველა მათ კუთვნილ წამოწყებაში, რომელიც ქალაქში მდებარეობს.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. **ს. მებუკე.**

1937 წ. თებერვლის 25. № 203.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 49 №-ში 1937 წ. მარტის 1.

№ 7 ეროვნული ბიბლიოთეკა

გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა

45. დადგენილება ს.კ.ს.

საფინანსო მომუშავეთა კადრების მომზადების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ლიკვიდირებულ იქნას საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის უმაღლესი საფინანსო სკოლა და ამ სკოლის სტუდენტთა კონტინგენტი გადაეცეს ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს.

2. უმაღლესი საფინანსო სკოლის 1-ლი და მე-II კურსის სტუდენტები მოთავსებულ იქნან ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის საფინანსო განყოფილების სათანადო კურსებზე; უმაღლესი საფინანსო სკოლის მე-III და IV კურსები ჩაითვალოს ლიკვიდირებულად და წინადადება მიეცეს სახელმწიფო უნივერსიტეტს—გამოუშვას ამ კურსების სტუდენტები, როგორც უმაღლესი საფინანსო სკოლის კურსდამთავრებულნი: მე-III კურსი—1938 წლის იანვარში, ხოლო მე-IV კურსი—1937 წლის ივლისში.

წინადადება მიეცეს სახელმწიფო უნივერსიტეტს—უზრუნველყოს ნორმალური მეცადინეობა ა/წ. თებერვლის 1-დან უმაღლესი საფინანსო სკოლის ყველა მიღებული სტუდენტისათვის.

3. სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის უმაღლესი საფინანსო სკოლის რუსულ ჯგუფთა კონტინგენტის გადაცემასთან დაკავშირებით, მოწყობილ იქნას სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის საფინანსო განყოფილებასთან რუსული სექტორი.

4. საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატმა გაითვალისწინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის 1937 წლის ბიუჯეტში სათანადო ასიგნები სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის უმაღლესი საფინანსო სკოლის გადაცემული სტუდენტების შესანახად და აგრეთვე გადასცეს სახელმწიფო უნივერსიტეტს ის საერთო-საცხოვრებელი, რომელიც ამჟამად უმაღლესი საფინანსო სკოლის სტუდენტებს უჭირავთ.

5. მოწონებულ იქნას საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის წინადადება საქართველოს დაუსწრებელი—საფინანსო ინსტიტუტის ლიკვიდაციისა და ამ ინსტიტუტის სტუდენტთა კონტინგენტის სრულიად საკავშირო დაუსწრებელი საფინანსო ინსტიტუტისათვის გადაცემის შესახებ.

გადაცემა დამთავრებულ იქნას ახალი სამოსწავლო წლისათვის.

6. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წ. ნოემბრის 3 თარიღისა და 1438 №-ის დადგენილება „საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის უმაღლესი საფინანსო სკოლის საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან არსებულ სახელმწიფო საფინანსო ინსტიტუტად რეორგანიზაციის შესახებ (საქ. სსრ კან. კრ. 1936 წ. № 31, მუხ. 189).

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. **ს. მებუკე.**

1937 წ. თებერვლის 28. № 206.

ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

46. დადგენილება ც.ა.კ.

უდიდესი რუსი პოეტის ა. ს. პუშკინის გარდაცვალების დღიდან ასი წლის თავის შესრულების აღნიშვნის შესახებ.

უდიდესი რუსი პოეტის ა. ს. პუშკინის გარდაცვალების დღიდან ასი წლის შესრულების აღსანიშნავად სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

ა. ს. პუშკინის სახელი მიეკუთვნოს:

ა) ტფილისის სამასწავლებლო ინსტიტუტს;

ბ) ტფილისის რუსულ პედაგოგიურ ტექნიკუმს;

გ) ტფილისის თეატრალურ მუზეუმს.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **თ. ჟღენტი.**

1937 წ. თებერვლის 17.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 10 №-ში 1937 წ. თებერვლის 18.

---

47. დადგენილება ს.კ.ს. და ს.კ.პ(ბ) ც.კ.

ტფილისის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენის სახელმწიფო თეატრის მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

ტფილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის მიერ ქართული ხელოვნების დეკადის მომზადებისა და მისი მოსკოვს ჩატარების პროცესში მიღწეულ წარმატებათა განმტკიცების და საოპერო ხელოვნების შემდგომი განვითარების მიზნით, საქართველოს სსრ რესპუბლიკის სახკომსაბჭო და საქ. კ. კ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. ხელოვნების საქმეთა სამმართველომ და თეატრის დირექციამ ერთი დეკადის ვადაში შეიმუშაონ და ცენტრალურ კომიტეტს წარუდგინონ თემატიური გეგმა და პრაქტიკული ღონისძიებანი თანამედროვე თემატიკაზე ორიგინალურ საოპერო და საბალეტო ნაწარმოებთა შექმნისათვის. კომპოზიტორთა დასახმარებლად შეიქმნას შემოქმედებითი ჯგუფები კომპოზიტორის, ლიბრეტისტის, დირიჟორის, რეჟისორის და კონსულტანტის შეამადგენლობით, დაიდოს რა მათთან სპეციალური ხელშეკრულებანი ახალი ოპერების შექმნაზე საბჭოთა საქართველოს ცხოვრებიდან და სინამდვილიდან.

2. დაევალოს ხელოვნების საქმეთა სამმართველოს ერთი თვის ვადაში მოაწყოს ყველა არსებული, მაგრამ დღემდე დასადგმელად არ მიღებული ორიგინალური ნაციონალური ოპერების გულდასმით გასინჯვა კომპეტენტურ სპეციალისტთა მონაწილეობით და შედეგები წარუდგინოს ცენტრალურ კომიტეტს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ხელოვნების საქმეთა სამმართველომ თეატრის დირექციასთან ერთად შეიმუშაოს სარეპერტუარო-თემატიკური გეგმა ორი წლის ვადით, ამასთან ამოცანად დაისახოს ყველა იმ ძველი დადგმის განახლება, რომლებიც თეატრში იდგმება, და მაღალ მხატვრულ დონეზე მდგომი ახალი დადგმების შექმნა. შემუშავებული გეგმა წარუდგინოს ცენტრალურ კომიტეტს არა უგვიანეს 1 აპრილისა.

მომავალი სეზონის უკეთ მომზადების მიზნით, წინადადება მიეცეს თეატრის დირექციას დახუროს მიმდინარე სეზონი 1 ივნისს, რათა დაიწყოს მოსამზადებელი მუშაობა 15 ივლისიდან და გახსნას მომავალი სეზონი 15 ოქტომბერს.

4. თეატრის ახალგაზრდა კადრების სწორად გამოყენებისა და მათი შემდგომი შემოქმედებითი ზრდისათვის თეატრის დირექციამ, სარეპერტუარო გეგმის საფუძველზე, დაუყოვნებლივ დაიწყოს მუშაობა ახალგაზრდა მომღერლებთან, ამასთან უზრუნველყოს მათი მუსიკალური და სასცენო მომზადება.

სახელმწიფო კონსერვატორიის დირექციამ გააძლიეროს კონსერვატორია პედაგოგიური ძალებით, მოიწვიოს მაღალ-კვალიფიციური სპეციალისტები, პირველ რიგში ინსტრუმენტალურ და ვოკალურ ფაკულტეტებზე.

ხელოვნების საქმეთა სამმართველომ მოაწყოს მუსიკის ნიჭით დაჯილდოვებული ახალგაზრდობის შერჩევა საქართველოს რაიონებში და უზრუნველყოს მათი სწავლება თბილისში.

მოაწყოს მუსიკალურ ტექნიკუმთან საგუნდო კლასები; უზრუნველყოს ისინი სათანადო სახსრებით, პედაგოგებითა და კონტინგენტით.

5. თეატრის ხელმძღვანელობის მთელი სისტემის გაუმჯობესების და ერთიანი სამხატვრო ხელმძღვანელობის დადგენის მიზნით, დაწესდეს თეატრში სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობა. სამხატვრო ხელმძღვანელად დაინიშნოს ხელოვნებათა დამსახურებული მოღვაწე **ე. მიქელაძე.**

6. თეატრის დირექციასთან შეიქმნას სამხატვრო საბჭო **ა. ჭყონიას** (საბჭოს თავმჯდომარე), **ე. მიქელაძის** (თავმჯდომარის მოადგილე), **ა. დუდუჩავას, ა. წუწუნავას, ს. ვირსალაძის, დ. ჯავრიშვილის, დ. ანდღულაძის, ნ. ქუმსიაშვილის, გ. კილაძის, ე. გვარამაძის, ა. ხოფერიას** შემადგენლობით.

7. ხელოვნების საქმეთა სამმართველომ შეიმუშაოს და დაამტკიცოს თეატრის დებულება, სტრუქტურა და შინაგანი განაწესი.

8. იმის გამო, რომ ნაციონალური მუსიკის განვითარების საქმეში განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის კომპოზიტორ ზ. პ. ფალიაშვილს, რომელიც ქართული საოპერო ხელოვნების ფუძემდებელი და შესანიშნავი ორიგინალური ოპერების შემქმნელია,—

ა) ტფილისის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენის სახელმწიფო თეატრს მიეკუთვნოს **ზ. პ. ფალიაშვილის** სახელი;

ბ) 1937 წელს საოპერო თეატრის ეზოში ზ. პ. ფალიაშვილის საფლავზე საძირკველი ჩაეყაროს ძეგლს;

4075

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელოვნების საქმეთა სამმართველომ გამოაცხადოს კონკურსი პროექტის შემუშავებაზე, რათა ძეგლი დაიდგას არა უგვიანეს 1938 წლისა.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე
გ. მგალობლიშვილი.

ს. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი
ლ. ბერია.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 39 №-ში, 1937 წ. თებერვლის 17.

---

48. დადგენილება ც.ა.კ.

ლანჩხუთის სახელმწიფო თეატრისათვის ნინოშვილის სახელის მიკუთვნების შესახებ

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს

დაკმაყოფილებულ იქნას ლანჩხუთის რაიონის პარტიული, საბჭოთა და პროფკავშირული ორგანიზაციების შუამდგომლობა ლანჩხუთის სახელმწიფო თეატრისათვის ე. ნინოშვილის სახელის მიკუთვნების შესახებ.

საქ. სსრ ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ც. ა. კ-ს მდივანი **თ. ჟღენტი.**

F 1951

1937 წ. თებერვლის 19.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტი“ 47 №-ში 1937 წ. თებერვლის 27.

4050

ფასი 40 კაპ.

გამომცემელი საქ. სსრ ს. კ. ს-ოს / საქმ. მმართველობა 1937 წ. № 13. პ/მ. რედაქტორი **ე. გამრეკელი**

ქაღალდის ფორმატი 62×94 სმ. 1⅛ 1 ბეჭდვ. ფურც.; 1 ბეჭდვ. ფურც. 48.500 სტამბ. ნიშანი

გადაეცა სტამბას 9|III; ხელმოწერილია დასაბეჭდად 7|IV; ტირაჟი 1.900.

მთავლ. რწმ. № 16975 საქ. სახ. კომ. საბჭოს საქმ. მმართვ. სტამბა ტფილისი. დაკვ. № 389